ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲠᲒᲐᲜᲝ
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 30-Ე ᲬᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1949 წ. № 224 (8527). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲝᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲪᲚᲔᲚᲐᲓ — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ (მე-2 გვერდი).
ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ (მე-2 გვერდი).
თ. ᲙᲣᲜᲯᲣᲚᲘᲐ — ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲑᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ (მე-2 გვერდი).
ა. ᲑᲣᲠᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მე-3 გვერდი).
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲑᲣᲠᲯᲘᲐ (მე-3 გვერდი).
ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲝᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲪᲚᲔᲚᲐᲓ

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ხალხმა კანონიერი სიამაყის გრძნობით, უდიდესი საᲬარმოო და პოლიტიკური აღმავლობით იდღესასწაულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი. ამ სიამაყისა და აღფრთოვანებისათვის მას აქვს საფუძველი: ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე განხორციელებისათვის ფართოდ გაჩაღებული საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, რამაც ერთნაირად მოიცვა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, საᲑჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით არნახული წარმატებანი მოიპოვა. ამ წარმატებებზე მკაფიოდ მოგვითხრობს ამხანაგ გ. მალენკოვის მოხსენება — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი“.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ხუთწლედის ბოლოსათვის საᲑჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის ომამდელი დონის 48 პროცენტით გადაჭარბებას ითვალისწინებდა. სინამდვილეში ჩვენი სამშობლოს მრეწველობამ უკვე მიმდინარე წლის ოქტომბერში 50 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს. სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე მიღწეულია იმ რაიონებშიც, რომლებიც მტრის ოკუპაციის შედეგად დიდად დაზარალდნენ. ჩვენი სამშობლოს მრეწველობის განუხრელ აღმავლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი თვიდან თვემდე ადიდებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას. საᲑჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წლის განვლილ ათ თვეში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 20 პროცენტით გადიდდა. ამასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. ზეგეგმითი დაგროვებათვის გაჩაღებული პატრიოტული მოძრაობის შედეგად, ჩვენმა მრეწველობამ 20 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა.

საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლასთან ერთად, ჩვენში არნახული ტემპით არის გაჩაღებული კაპიტალური და საბინაო მშენებლობა. მარტო ომისშემდგომი ხუთწლედის განვლილ პერიოდში აღდგენილი, აგებული და ამუშავებულია 4.600-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმოო, ქალაქებსა და მუშათა დაბებს შეემატა 61 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო სოფლად აგებულია ორ მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

საᲐᲛᲐᲧᲝ მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის წლისთავს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები. Ჯერ კიდევ 1948 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა თითქმის მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო მიმდინარე წლის მოსავალმა 1940 წლის დონეს გადააჭარბა. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საᲑჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 128 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. „მარცვლეულის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში უკვე გადაჭრილია და შემდგომი წარმატებანი ამ დარგში დამყარებულია მტკიცე საფუძველზე. ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ყველა საჭირო პირობა მოეპოვება იმისათვის, რომ წლითიწლობით გაადიდოს მარცვლეული, ტექნიკური და სხვა კულტურების მოსავლიანობა“ (გ. მალენკოვი). ამის საფუძველია სოციალისტური სოფლის მეურნეობის პირველხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით აღჭურვა. მარტო მიმდინარე წელს ჩვენი სოფლის მეურნეობა მიიღებს სამ-ოთხᲯერ მეტ ტრაქტორსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ომამდელ, 1940 წელთან შედარებით.

წარმატებით ხორციელდება უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამა. კოლმეურნეები და საᲑჭოთა მეურნეობების მუშები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შესაქმნელად.

ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა ყველა პირობას ქმნის საᲑჭოთა ხალხის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

მრავალეროვანი საᲑჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად ოქტომბრის დიად დღესასწაულს საᲐᲛᲐᲧᲝ მაჩვენებლით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნიც. ჩვენმა მრეწველობამ, ისევე როგორც მთლიანად საᲑჭოთა კავშირის მრეწველობამ, კარგა ხანია უკან მოიტოვა წარმოების ომამდელი დონე და მოამზადა ნიადაგი ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. თვალსაჩინო გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც მესამე კვარტალის, ისე განვლილი ათი თვის საწარმოო გეგმები. მრავალმა საწარმომ ორი-ორნახევარი თვით ადრე გაანაღდა წლიური გეგმები. მკვეთრად გადიდდა დაზგებისა და მანქანების, სასაᲬონლო მარგანეცის, საშენი მასალების, საფეიქრო, სატრიკოტაჟო და სამკერვალო ნაწარმის, კვების პროდუქტების გამოშვება. მრავალი საწარმო გამარᲯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. წარმატებით მიმდინარეობს კაპიტალური და საბინაო მშენებლობა. დღითიდღე ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი ქალაქები, სამრეწველო და რაიონული ცენტრები.

რესპუბლიკის კოლმეურნეები და საᲑჭოთა მეურნეობების მუშაკები, ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც ენერგიის დაუზოგავად შრომობდნენ სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის. ახლა უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მათი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. მიღებულია მარცვლეული და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავალი. გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის პურის, ჩაის მწვანე ფოთლის, ყურძნისა და აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმები. წარმატებით მიმდინარეობს თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ციტრუსების, ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარება.

ჩვენი წარმატებანი ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ბოლშევიკები არასოდეს არ კმაყოფილდებიან მიღწეულით. ჩვენი მიზანია მუდმივი წინსვლა, ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვება, ჩვენს მუშაობაში Ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, წარმოების ამა თუ იმ დარგის ჩამორჩენის ლიკვიდაცია, ყველა საწარმოს მიერ წლიური გეგმის აუცილებლად შესრულება, ნიადაგის მომზადება მომავალ წელს უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ამ დღეებში მოსკოვის მოწინავე საწარმოების კოლექტივებმა წერილით მიმართეს დიდ სტალინს და პირობა მისცეს ხალხთა ბელადს, რომ საწარმოთა ნაგებობების უკეთ გამოყენებისა და დაზგა-დანადგარების ფართობის შემცირების გზით სახელმწიფოს დაუზოგავენ ასეული მილიონ მანეთს და აგრეთვე საწარმოების ძირითადი სახსრების უკეთ გამოყენებით დამატებით გამოუშვებენ ერთ მილიარდზე მეტი მანეთის პროდუქციას. მოსკოველთა ამ ახალ, პატრიოტულ თაოსნობას აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა და გამონახონ საშუალებანი საწარმოთა ნაგებობების უკეთ გამოყენებისა და დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

განვამტკიცოთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით მოპოვებული მიღწევები, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, სამეურნეო წლის სახელოვანი საწარმოო მაჩვენებლებით დამთავრებისათვის!

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

მოსკოვი, კრემლი

ბატონო თავმჯდომარე, მიიღეთ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის და მთელი უნგრელი ხალხის უაღრესად გულწრფელი სურვილები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავის გამო. მძლავრმა საᲑჭოთა კავშირმა, რომელიც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ წარმოშვა როგორც ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი, თქვენი ხელმძღვანელობით თავისუფლება მოუპოვა უნგრელ ხალხს და ამით შეუქმნა სოციალიზმის მშენებლობის პირობები. უნგრეთის სახალხო დემოკრატია ამ შესაძლებლობებით სარგებლობდა წარსული წლების წარმატებითს ბრძოლასა და მშენებლობაში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ მიდის სოციალიზმის გზით, შეუდრეკლად იბრძვის სსრ კავშირის მხარეზე, იბრძვის იმპერიალისტური ჩარევის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, იბრძვის მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის. იმის შეგნებით, რომ ეს საერთო ბრძოლა გამარᲯვებით დაგვირგვინდება, გისურვებთ თქვენ და სახელოვან საᲑჭოთა ხალხს შემდგომ დიდ წარმატებებს მთელი პროგრესული კაცობრიობის სასარგებლოდ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საᲑჭოს თავმჯდომარე
ᲘᲝᲡᲔᲤᲘ ᲓᲝᲚᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ Ს ᲨᲐᲚᲘᲜᲡ

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სახელით უგულითადეს მოლოცვას გითვლით თქვენ და საᲑჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას. იმის შედეგად, რომ გაიმარᲯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლითაც ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ცხოვრებაში, საᲑჭოთა ხალხმა ხელმძღვანელი ადგილი დაიკავა ყველა პროგრესულ სახელმწიფოთა შორის და გახდა მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და მთელ მსოფლიოში პროგრესის წაიმედო გარანტი.

დიადი წარმატებანი საᲑჭოთა კავშირის ხალხებისა, რაც მიღწეულია თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ძალასა და რწმენას უნერგავენ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, მათ შორის გერმანელი ხალხის დემოკრატიულ ძალებსაც, რომლებიც განსაკუთრებული სიხარულით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულს.

ᲝᲢᲝ ᲒᲠᲝᲢᲔᲕᲝᲚᲘ,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

მოსკოვი, კრემლი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო გთხოვთ თქვენ და თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობასა და საᲑჭოთა კავშირის ხალხებს, მიიღოთ მონღოლი ხალხის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი უმხურვალესი გულითადი მოლოცვა.

საᲑჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად დიდი სიხარულით აღნიშნავს ამ დიად დღესასწაულს მთელი მონღოლი ხალხიც, ვინაიდან ჩვენმა ხალხმა მტკიცედ იცის და არასოდეს არ დაივიწყებს, რომ თავისი განთავისუფლება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, თავისი სახელმწიფო დამოუკიდებლობა, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება მან მიიღო მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარᲯვებისა და მომძე საᲑჭოთა ხალხის ყოველმხრივი უანგარო დახმარების მეოხებით. ამ დიადი დღესასწაულის დღეს მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის, მათ შორის ჩვენი ხალხის თვალი მიპყრობილია დიდი საᲑჭოთა კავშირისადმი — მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების ურყევი ბურჯისადმი, რომელიც გააჭარწყლებს ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების, ახალი ომის გამჩაღებლების ყველა ხრიკსა და სხვა ხალხთა დამონების მათს ავაზაკურ გეგმებს.

მონღოლი ხალხი უდიდესი სიხარულითა და სიამაყით ადევნებს თვალყურს საᲑჭოთა ხალხის დიად გამარᲯვებებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნიზმის აშენებისათვის თავდადებულ, გმირულ ბრძოლაში.

საᲑჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარᲯვებანი და მისი მრავალმხრივი ძმური უანგარო დახმარება აღფრთოვანებს თავისუფლებისმოყვარე მონღოლ ხალხს, ისე როგორც სხვა დემოკრატიული ქვეყნების ხალხებს, ახალი საგმირო საქმეებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის საბრძოლველად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღე, მშრომელთა ეს დიდი დღესასწაული, ემთხვევა ჩვენი ხალხისათვის ახალ სასიხარულო მოვლენას — ულან-ბატორის რკინიგზის აგებას, რომელიც საᲑჭოთა კავშირმა თქვენი პირადი თაოსნობით ააგო და რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

გითვლით თქვენ და თქვენი სახით მთელ საᲑჭოთა ხალხს დიდ მადლობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში ძმური, უანგარო დახმარებისათვის და გისურვებთ Ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საᲑედნიეროდ.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
მარშალი ჩო�Bალსანი

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

მოსკოვი, კრემლი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო კორეელი ხალხის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით და პირადად გითვლით თქვენ, კორეელი ხალხის დიდ მეგობარს, და მთელ სახელოვან საᲑჭოთა ხალხს, განმათავისუფლებელ ხალხს,— უაღრესად გულითად სალამსა და მოლოცვას.

საᲑჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებული კორეელი ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნავს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის თარიღს—7 ნოემბერს. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კოლონიური და დამოკიდებული ხალხების მტკიცე მორალურ-პოლიტიკური ბურჯი გახდა იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. საᲑჭოთა კავშირის უდიდესმა ისტორიულმა გამარᲯვებამ მეორე მსოფლიო ომში მრავალტანჯულ კორეელ ხალხს მოუტანა განთავისუფლება ბარბაროსული კოლონიური ჩაგვრისა და იაპონელ დამპყრობთაგან და შესაძლებლობა მისცა ჩვენს ხალხს შეექმნა სახალხო-დემოკრატიული წყობილება, მიუხედავად საერთაშორისო რეაქციის მისწრაფებისა კვლავ დაიმონოს კორეა.

კორეელი ხალხი ეყრდნობა სსრ კავშირის მძლავრ უანგარო მხარდაჭერას, იბრძვის თავისი სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის და რწმენით მიდის წინ მშვიდობის, ნამდვილი დემოკრატიის გზით ხალხთა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონტის რიგებში, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საᲑჭოთა კავშირი, მშვიდობის, უშიშროებისა და ხალხთა დამოუკიდებლობის აღიარებული ბურჯი.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენი ხალხი გენერალისიმუს სტალინს უცხადებს საყოველთაო სახალხო სიყვარულს და მადლობას დახმარებისა და მხარდაჭერისათვის და საᲑჭოთა ხალხს უსურვებს ახალ წარმატებას მის შემოქმედებით მუშაობაში.

გაუმარᲯოს დიდ სტალინს — კორეელი ხალხის განმათავისუფლებელსა და ძვირფას მეგობარს!

ᲙᲘᲛ ᲘᲠ ᲡᲔᲜᲘ
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲡ

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო,

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარᲯვების 32-ე წლისთავის გამო რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ ვულოცავ სახელოვანი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს მგზნებარე სალამს, სიყვარულისა და მადლობის გრძნობას გადავცემ მსოფლიო პროლეტარიატის ძვირფას მასწავლებელს, მარქს-ენგელს-ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში და მთელი მსოფლიოს მშრომელებს უჩვენა ბედნიერებისა და კეთილდღეობის გზა, სოციალიზმის გზა.

მთელი მსოფლიოს მშრომელები საᲑჭოთა სახელმწიფოს სახით, რომელიც დაიბადა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარᲯვების შედეგად და რომელსაც 32 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის ბრძენი პარტია, ხედავენ მსოფლიო იმპერიალიზმის — მშვიდობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მომაკვდინებელი მტრის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის ბურჯს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ გახსნილ გზას ახლა დაადგა მთელ მსოფლიოში ასობით მილიონი ადამიანი.

ამ გზას დაადგნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებიც. მამაცი საᲑჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებული ჩვენი ხალხი მიჰყვება ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენებ ნათელ გზას და მთელ თავის ძალებს ძაბავს, რათა სულ უფრო მეტი წარმატება მოიპოვოს სოციალიზმის აშენების გზაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღეს ჩვენ კვლავ გამოვთქვამთ ჩვენს მგზნებარე სიყვარულსა და ერთგულებას სოციალიზმის სამშობლოს — საᲑჭოთა კავშირისადმი და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი მამისა და მასწავლებლის, ამხანაგ სტალინისადმი.

გაუმარᲯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ფრონტის მედროშეს!

გაუმარᲯოს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარᲯოს ხალხთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით
ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲣ-ᲓᲔᲫᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

მოსკოვი

იტალიის კომუნისტებისა და მშრომელების სახელით მგზნებარე სალამს გიძღვნით თქვენ, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების ბელადსა და მასწავლებელს, და მოგილოცავთ სახელოვანი ოქტომბრის რევოლუციის 32-ე წლისთავს.

მსოფლიოს მშრომელები და ხალხები, რომლებიც იბრძვიან სასტიკი კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, დიდი აღფრთოვანებითა და სიამაყით უცქერენ ახალ ხაზოგადოებას, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით და თქვენი მოძღვრების საფუძველზე ააგო ბოლშევიკურმა პარტიამ, რომელიც სათავეში უდგას საᲑჭოთა ხალხებს.

სოციალიზმი იმარᲯვებს უკვე მთელ მსოფლიოში, რასაც ადასტურებს საᲑჭოთა კავშირის მიერ მიღწეული გადამწყვეტი წარმატებანი და პოლიტიკური და სოციალური მონაპოვარნი, რომლებიც ერთხელ კიდევ ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების უპირატესობას დახავსებულ ბურჟუაზიულ წყობილებასთან შედარებით.

იტალიელი კომუნისტები და მშრომელები მადლობას გიძღვნიან თქვენ და საᲑჭოთა ხალხებს იმ ფასდაუდებელი განმისათვის, რაც შეიტანეთ ახალი ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ᲬᲚᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ბრძოლის საქმეში; მათ იციან, რომ საᲑჭოთა კავშირი არის მთელ მსოფლიოში მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის მძლავრი და უძლეველი საყრდენი.

გაუმარᲯოს მძლავრსა და მშვიდობისმოყვარე საᲑჭოთა კავშირს!

გაუმარᲯოს ბოლშევიკების ძლევამოსილ პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას!

იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით
ᲞᲐᲚᲛᲘᲠᲝ ᲢᲝᲚᲘᲐᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲑᲐᲖᲝᲜ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის დღეს ფინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მოგილოცავთ თქვენ, ბატონო გენერალისიმუსო, და თქვენი სახით მთავრობას, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, და მძლავრი ᲬᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის ხალხებს გულწრფელად ვუსურვებ შემდგომ აყვავებას.

ᲞᲐᲐᲡᲘᲙᲘᲕᲘ
ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲑᲐᲖᲝᲜ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

მოსკოვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღეს ფინეთის მთავრობა გთხოვთ, ბატონო გენერალისიმუსო, და თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობას მიიღოთ გულითადი სალამი და პირადად თქვენი და მთელი საᲑჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და საუკეთესო წარმატების გულწრფელი სურვილი.

ფინეთის მინისტრთა საᲑჭოს თავმჯდომარე ᲤᲐᲒᲔᲠᲰᲝᲚᲜᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲡ Ბ-Ნ ᲡᲐᲠᲓᲐᲠ ᲕᲐᲚᲐᲑᲰᲐᲘ ᲞᲐᲨᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით ნება მიბოძეთ გადავცე თქვენს აღმატებულებას, თქვენს მთავრობასა და ხალხს საუკეთესო სურვილები და სალამი ოქტომბრის რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო. ინდოეთს იმედი აქვს განაგრძოს თანამშრომლობა საᲑჭოთა კავშირთან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐ

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შედგა, განიხილა ორი საკითხი: 1. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და 2. კომკავშირელთა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. გეთიამ.

— ყოველდღიურად იზრდება და მშვენიერდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები, უმჯობესდება მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. ეს საერთო აღმავლობა და წინსვლა, — თქვა მომხსენებელმა, — მთელი სერიოზულობით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ რესპუბლიკას ჰქონდეს კეთილმოწყობილი საგზაო ქსელი.

აფხაზეთის მშრომელებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ქსელის გაფართოებისა და კეთილმოწყობის საქმეში, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. თუ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საგზაო სამმართველოს დავუჯერებთ, საგზაო მშენებლობის გეგმები ყოველწლიურად გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად სრულდება. ამავე დროს 1,220 კილომეტრი სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებში 495 კილომეტრი ყამირგზა სრულიად მოუვლელია და ხშირად მისი ექსპლოატაციაც კი შეუძლებელია. საგზაო სამმართველოს ცნობების მიხედვით, გუდაუთის რაიონში 1948 წელს საგზაო სამუშაოთა გეგმა 136,4 პროცენტით იყო შესრულებული, სინამდვილეში რაიონში სასოფლო გზები წესრიგზე არ არის, მათი ექსპლოატაცია მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული, გაფუჭებულია ხიდები, დამტვრეულია წყალმრიდი მილები და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა ოჩამჩირისა და ოლქის სხვა რაიონებში. ადგილობრივი მნიშვნელობის, კერძოდ სასოფლო გზების, ასეთი ცუდი მდგომარეობა, — დაასკვნის მომხსენებელი, — ნათლად მეტყველებს იმას, რომ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგზაო სამმართველო და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომების საგზაო განყოფილებანი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ამ საქმეს. ამასთან ზოგიერთი სასოფლო საბჭო და პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ ზრუნავენ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული გზების კეთილმოსაწყობად, საგზაო ქსელის გასაფართოებლად.

ამხ. გეთიას მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო პარტიის გალის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ჭეკიამ, მშრომელთა დეპუტატების ოჩამჩირის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ძიაპშამ, პარტიის გულრიფშის რაიკომის მდივანმა ე. ჯიქიამ, პარტიის გაგრის რაიკომის მდივანმა ნ. ჩხოტუამ და სხვებმა.

მეორე საკითხზე — კომკავშირელთა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ადამიამ.

წინა წლებთან შედარებით, თქვა მომხსენებელმა, შესამჩნევად გაუმჯობესდა კომკავშირელთა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლება, გაიზარდა ახალგაზრდობის ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ტყვარჩელის ბერიას სახელობის შახტის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუფის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის და ზოგიერთ სხვა საწარმოთა და საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობის იდეური დონე დაბალია, არის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი პოლიტიკურ სწავლებაში არ არის ჩაბმული და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ეხმარება კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების სათანადო დონეზე დაყენებაში.

ამხ. ვ. ადამიას მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 7 კაცმა.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ. განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

КОМУНИСТИ

ПРОДУКЦІЯ ГАЗОВОЇ ПРОМИСЛОВОСТІ

ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

КОМУНИСТИ

ПРОДУКЦІЯ ГАЗОВОЇ ПРОМИСЛОВОСТІ

პროდუქციის გამოშვების ზრდის მძლავრი საშუალება

თბილისის საწარმოთა კოლექტივები საქმით ეხმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მოსკოვის 88 მოწინავე საწარმოს კოლექტივების მიერ გაგზავნილმა წერილმა, რომელშიც ისინი აღნიშნავენ თავიანთ საწარმოო მიღწევებს და სოციალისტური მრეწველობის მუშაკებს მოუწოდებენ მოწყობილობის უფრო რაციონალურად დაგეგმვისა და თვითეული მანქანადანადგარის საწარმოო ფართობის შემცირების გზით მაღწიონ პროდუქციის გამოშვების თანდათანობით ზრდას, თბილისის საწარმოთა მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებში ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მოსკოველთა აღნიშნული წერილი მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს გააცნეს აგიტატორებმა.

ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს მოწინავე მუშებმა — ამხ. გ. ყველაშვილმა და ს. ჩახიძემ წინადადება შეიტანეს დამუშავებულ იქნას საამქროში მანქანა-დანადგართა ახლებურად განლაგების გეგმა, რათა გამოინახოს ახალ დანადგარებისათვის ადგილი და გაფართოებულ იქნას საექსპერიმენტო მუშაობა. ანალოგიური წინადადებები შემოიტანეს სხვა საამქროთა მუშებმაც.

საამქროებში უკვე შეუდგნენ თადარიგს, რომ საწარმოო ფართობთა გამონახვის შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას დანადგართა პარკის გადიდება და სამანქანო დეტალების გამოშვება.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში მოსკოველთა წინადადებების განსახორციელებლად გამოყოფილია სპეციალისტების კომისია, რომელსაც ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. ბერიშვილი ხელმძღვანელობს. კომისია შეუდგა ცალკე საამქროებისა და საწარმოო უბნების მდგომარეობის შესწავლას და ღონისძიებათა დამუშავებას თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების ზრდის მისაღწევად.

უკვე შესწავლილია ქარხნის მრავალი საამქროს მდგომარეობა. გამორკვეულია ის შესაძლებლობანი, რომლებიც ამ საამქროებში აქვთ საწარმოო ფართობის განთავისუფლებისა და მოწყობილობის უკეთესად გამოყენებისათვის. კომისიამ აღიარა, რომ ქარხნის კოლექტივს ძალუძს სხვადასხვა დამხმარე სათავსოებისა და საწყობების განთავისუფლებით გამონახოს საკმაო ფართობი დაზგების გამოშვების გასაადიდებლად.

კიროველებმა გადაწყვიტეს აგრეთვე რაციონალურად დაგეგმონ ახალი საწარმოო კორპუსი, დასტიონ იქ იმდენი მოწყობილობა, რომ მომავალში გაადვილებულ იქნას ქარხნის დანარჩენი საამქროების გაზრდილ მოთხოვნილებათა მომსახურება.

მაუდ-კამოლის ფაბრიკის საამქროებში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის მოსკოველთა ახალი თაოსნობის მასობრივად გაცნობის შემდეგ მოწვეულ იქნა საამქროთა უფროსებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების თათბირი, რომელზეც განიხილეს მოსკოველთა სპასუხოდ ფაბრიკაში განსახორციელებელ ღონისძიებათა გამომუშავების საკითხი.

თათბირმა გამოყო კომისია ფაბრიკის მთავარი ინჟინრის ს. იაკობაშვილის ხელმძღვანელობით და დაავალა მას კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება.

გამორკვეულია, რომ მაუდის საქსოვ საამქროში არის შესაძლებლობა საგრძნობლად დიდი თავისუფალი საწარმოო ფართობის გამონახვისა და ამ ფართობზე ახალი საქსოვი დაზგების გამართვისა ხამი ქსოვილების გამოშვების გასაადიდებლად. ასეთივე შესაძლებლობის გამოსარკვევად კომისია განაგრძობს მუშაობას ფაბრიკის დანარჩენ საამქროებშიც.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თელავის მუს-მა მუშაობა უნდა გააჯანსაღოს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 9 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო თელავის მტს-ის მუშაობა საშემოდგომო ხვნა-თესვის საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სეხნიაშვილი გვატყობინებს: ბიუროს სწორად ცნო წერილში მოყვანილი ფაქტები და დასახა ღონისძიებანი საშემოდგომო ხვნა-თესვის წარმატებით დამთავრებისათვის.

პარტრაიკომის ბიუროს მტს-ის დირექტორს ამხ. ჩხოტუას დაავალა განახორციელოს გადამჭრელი ღონისძიებანი საშემოდგომო ხვნა-თესვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. დაისვა საკითხი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე, რათა ტრაქტორების უხარისხო რემონტისათვის და ტექნიკური მოვლის საქმეში დაუდევრობისათვის მტს-ის უფროსი მექანიკოსი ამხ. ზ. მაჭავარიანი მოხსნას თანამდებობიდან. მტს-ის სახელოსნოს გამგედ ყოფნის დროს რემონტის საქმისადმი ცუდი ხელმძღვანელობისათვის ამხ. მ. ნეფარიძეს გამოეცხადა საყვედური საგორიცხვო ბარათში შეტანით. ხვნა-თესვის სამუშაოებისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისა და სატრაქტორო ბრიგადებში სათანადო დისციპლინის უქონლობისათვის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებს ამხ. ლ. შიუკაშვილსა და ვ. ბასილაშვილს გამოეცხადათ საყვედური და გაფრთხილებულ იქნენ, რომ მუშაობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

მტს-ის დირექტორის მოადგილეს პოლიტიკურ დარგში ამხ. თ. ნათელაძეს სუსტი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის გამოეცხადა საყვედური.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას დაევალა აქტიური დახმარება აღმოუჩინოს მტს-ის დირექციას ტრაქტორისტთა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რიგმუღი მუშაობის დანერგვისათვის სუსტად იბრძვიან

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ტყვარჩელეთი მეშახტეები წარმატებით მუშაობდნენ, შაგრამ აღებული ტემპი ვერ შეინარჩუნეს მესამე კვარტალში და ამის გამო ათიათასობით ტონა ქვანახშირი დააკლეს სამშობლოს. უფრო ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს აქ ოქტომბერი. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბერიას სახელობის შახტი.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენით აიხსნება. შახტების ხელმძღვანელები ხშირად ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან. მაგალითად, ხშირად მთელი ძალები ქვანახშირის ამოღებაზე გადაჰყავთ, ხოლო მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტი ჩამორჩება, რაც შახტისა ან მთელი ტრესტისათვის საგრძნობი ხდება მხოლოდ მეორე თვის დასასრულს, როცა ახალი ლავები და წოლხვრელები მოუმზადებელი აღმოჩნდება-ხოლმე. უბნებისა და შახტების უფროსები მიმართავენ იერიშობიას და არ იბრძვიან გეგმიანი, რიტმული მუშაობისათვის. ასეთ იერიშობიას განსაკუთრებით მიმართავენ ბერიას სახელობის შახტსა და სტალინის სახელობის შახტის მეოთხე და მეექვსე უბნებში. ნოემბრისათვის უბნებში საკმაოდ არ არის საექსპლოატაციოდ მომზადებული წოლხვრელების ხაზი.

გარდა ამისა, ლავებსა და წოლხვრელებში უსულგულოდ ეკიდებიან სამთო მექანიზმებს და არღვევენ ექსპლოატაციის ტექნიკურ წესებს. ტრანსპორტიორის გადატვირთვის გამო 25 ოქტომბერს ბერიას სახელობის შახტის მეშვიდე უბანში მუშები 6 საათის განმავლობაში მოსცდნენ. ამ დღეს ლავაში იმყოფებოდა თვით უბნის უფროსი ამხ. ლაზარეანკო, მაგრამ მას არავითარი ზომები არ მიუღია მდგომარეობის გამოსასწორებლად. მეორე დღესაც იმავე ლავაში ტრანსპორტიორის საჭერის თავი ორჯერ მოიშვა, რის გამო იგი 4 საათს მოსცდა.

წელს სტალინის სახელობის შახტის მეექვსე უბანი (უფროსი ნ. გუგუშვილი) თავს ვერ აღწევს ჩამორჩენას. ეს იმით აიხსნება, რომ უბანში მოუწესრიგებელია მაღაროელთა შრომა და ირღვევა ლუმიშროების ტექნიკური წესები. ამაში ბრალი მიუძღვის როგორც უბნის უფროსს ამხ. გუგუშვილს, ისე შახტის ხელმძღვანელობას, რომელიც ოპერატიულ დახმარებას ვერ უწევს უბანს.

სამუშაო ადგილის მოუმზადებლობისა და ტრანსპორტიორების მოცდენის შედეგად სახელმწიფოს წინაშე დავალიანებული არიან აგრეთვე ამავე შახტის მეოთხე უბნის მეშახტეებიც.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტმა, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტისა და შახტების ხელმძღვანელებმა საჭიროა მიიღონ გადამჭრელი ზომები ქვანახშირის ამოღებაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, წლიური გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ნ. ზოლნია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შემოქმედი

(აკადემიკოს ვ. რ. ვილიამსის გარდაცვალების 10 წლისთავის გამო)

შესრულდა ათი წელი, რაც გარდაიცვალა დიდი რუსი მეცნიერი, გამოჩენილი ნიადაგთმცოდნე და აგრობიოლოგი ვასილ რობერტის-ძე ვილიამსი.

ვ. რ. ვილიამსი თავის შრომებში დაეყრდნო შესანიშნავი რუსი მეცნიერების ვ. ვ. დოკუჩაევის, ნ. მ. სიბირცევის, პ. ა. კოსტიჩევის, კ. ა. ტიმირიაზევის მიღწევებს, გაანზოგადა და განავითარა ყოველივე საუკეთესო, რაც კი დაუგროვებია წარსულში მეცნიერებასა და პრაქტიკას და მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის გამოყენებით ბევრი რამ პრინციპულად ახალი შეიტანა ნიადაგის ბუნების შემეცნებაში, მიწათმოქმედების მეცნიერებაში. ვილიამსმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის მოწინავე მოძღვრება, რომელსაც მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა ეწოდება. ეს მოძღვრება მიწათმოქმედების ნათესბალახიან სისტემაზე და დიდი რუსი მეცნიერის ი. ვ. მიჩურინის მოძღვრება მცენარის ბუნების გარდაქმნაზე შეადგენენ ერთიან აგრობიოლოგიურ მეცნიერებას.

ვ. რ. ვილიამსი დაიბადა 1863 წელს მოსკოვში. ბავშვობიდანვე შეიყვარა წიგნი და ადრევე გაეცნო რუსულ და უცხოეთის კლასიკურ ლიტერატურას, აგრეთვე სპეციალურ ლიტერატურას, უმთავრესად გეოლოგიისა და მინერალოგიის საკითხებზე.

1883 წელს ვილიამსი შევიდა მიწათმოქმედებისა და სატყეო აკადემიაში. მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, ის შესანიშნავად სწავლობდა. უკვე აკადემიის მესამე კურსიდან ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის ასისტენტი ხდება. 1887 წელს ბრწყინვალედ ამთავრებს აკადემიას. 1894 წლიდან ხელმძღვანელობს ზოგადი მიწათმოქმედების კათედრას ამავე აკადემიაში.

ვ. რ. ვილიამსის მოღვაწეობას ფართო სარბიელი მიეცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლიდანვე ვილიამსი აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. 1928 წელს ის შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და მთელ თავის ძალას ახმარს პარტიის დავალებათა შესრულებას, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

ვილიამსის მიერ შემუშავებული მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია. ჩვენს პირობებში ის არის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებამ ვილიამსს ხელთ მისცა სწორი გასაღები ნიადაგთმცოდნეობისა და მიწათმოქმედებაში მთელი რიგი აქტუალური საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის. თავის სტატიაში „სიბრძნის უდიდესი წყარო“, რომელიც მიუძღვნა დიდი ლენინის გენიალური შრომის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ 30 წლისთავს, ვ. რ. ვილიამსი წერდა: „ლენინის უკვდავმა შრომამ მომცა სახელმძღვანელო იდეა ნიადაგთწარმოქმნის ერთიანი ისტორიული პროცესისა და მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შესახებ მოძღვრების დამუშავების საქმეში, მან გამიწია ძლიერი პროექტორის სამსახური, რომელიც ანათებს ბუნების საიდუმლოებათა შეცნობის გზას. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ბუნებისმეტყველი უნდა იყოს მატერიალისტი დიალექტიკოსი“.

სწორედ დიალექტიკური მატერიალიზმის მომარჯვებით შეძლო ვილიამსმა შეექმნა მოძღვრება მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემისა და მოძღვრება ნიადაგთწარმოქმნის ერთიანი ისტორიული პროცესის შესახებ.

საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს დიდი სტალინის ინიციატივით მიღებულ ველიანი და ტყე-ველიანი რაიონების ბუნების გარდაქმნის დიად გეგმას, რომელსაც საფუძვლად უდევს მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შემადგენელი ელემენტებია:

პირველი,—მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება წყალგამყოფებზე, თესლბრუნვის მინდვრების საზღვრებზე, ნეგვების კალთებზე, მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, გუბურებისა და წყალსატევების გარშემო, აგრეთვე ქვიშნარების გატყეევება და შემაგრება;

მეორე, — ტერიტორიის სწორი ორგანიზაცია და ნათესბალახიანი მინდვრის და საკვები თესლბრუნვის შემოღება და მიწის სავარგულების რაციონალური გამოყენება;

მესამე, — ნიადაგის დამუშავების, ნათესის მოვლის სწორი სისტემა და, უწინარეს ყოვლისა, საშემოდგომო ანეულის, მზრალისა და ნაწვერალის ოშვის ფართოდ გამოყენება;

მეოთხე, — ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების სწორი სისტემა;

მეხუთე, — ადგილობრივ პირობებთან შეგუებული უხვმოსავლიანი ჯიშების საუკეთესო თესლის თესვა;

მეექვსე, — მორწყვის განვითარება ადგილობრივი წყლების გამოყენების ბაზაზე გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გზით.

ბურჟუაზიის მსახურებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების თეორია“. ამ თეორიის მიხედვით გამოდიოდა, რომ რაც უფრო მეტს ვცდილობთ ნიადაგის გაუმჯობესებას, მით უფრო ნაკლებ ეფექტს ვიღებთ. ამ „კანონის“ აღიარებით ძირმოძალი კაპიტალიზმის წარმომადგენლები ცდილობდნენ მშრომელთა მძიმე მდგომარეობის მიზეზად გამოეყვანათ ბუნების ძალები, ამართლებდნენ მიწის კერძო საკუთრების არსებობას, ეხმარებოდნენ ბურჟუაზიას მშრომელების ძარცვასა და გაყვლეფაში.

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ გააკამეტვერა ვ. ი. ლენინმა. ლენინმა ცხადყო, რომ ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ შეთხზეს ეს კანონი, „...რათა



მიეჩქმალათ მიწათმოქმედების პროგრესის კაპიტალისტური დაბრკოლებანი“. ნაშრომში „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“ ლენინი წერდა: „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ სრულებით გამოუყენებელია ისეთი შემთხვევებისათვის, როცა ტექნიკა პროგრესს განიცდის, როცა წარმოების წესები გარდაქმნის პროცესშია; მისი გამოყენება მხოლოდ შედარებითია და პირობითია იმ შემთხვევების მიმართ, როცა ტექნიკა უცვლელი რჩება. აი რატომ არის, რომ არც მარქსი, არც მარქსისტები არას ამბობენ ამ „კანონის“ შესახებ, მასზე გაჰკვიანან მხოლოდ ბურჟუაზიული მეცნიერების ბრენტანოს მსგავსი წარმომადგენელნი, რომელთაც ვერასგზით ვერ დაუღწევიათ თავი ძველი პოლიტიკური ეკონომიის ცრურწმენისა და მისი აბსტრაქტული, მარადი და ბუნებრივი კანონებისათვის“.

ვ. რ. ვილიამსის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მის მიერ შემუშავებულმა მწყობრმა მოძღვრებამ ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ გააცამტვერა რეაქციული „თეორია“ ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების თაობაზე. ვილიამსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი კანონია ყველა მისი ელემენტის თანაბარი მნიშვნელობის კანონი. მცენარეთა სიცოცხლის ყველა პირობა სავსებით თანაბარმნიშვნელოვანია. ამ პირობათა შორის—სინათლე, სითბო, მცენარეთა საკვები და წყალი—არ არის არც მეტად, არც ნაკლებად მნიშვნელოვანი, ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანია. „თუ მცენარეები უზრუნველყოფილია სიცოცხლის ყველა პირობით, მათი მოსავალი განუსაზღვრელია... მეცნიერებამ გვიჩვენა, რომ ცუდი ან კარგი ნიადაგები არ არსებობს. მტკიცედ დადგენილია და ცდით დამტკიცებულია სავსებით გარკვეული მკაფიო ლოზუნგი: „ცუდი ნიადაგები არ არსებობს, არიან მხოლოდ ცუდი მეურნენი“. ეს ლოზუნგი მეცნიერულად დასაბუთებულია. ყოველ ნიადაგზე შეიძლება ზივიღოთ როგორიც გინდა მოსავალი... საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ მისი მიღება“. (ვილიამსი).

ვილიამსს აგრონომიული მეცნიერების მთავარ ამოცანად მიაჩნდა ბრძოლა ნიადაგის ნაყოფიერებისათვის. იგი მოუწოდებდა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს ეზრუნათ კულტურული ნიადაგის შექმნისათვის, ესწავლათ ყოველი ნიადაგის გადაქცევა ნაყოფიერ ნიადაგად. ვილიამსმა ცხადყო, რომ უხვი მოსავლის საფუძველია სტრუქტურული ნიადაგი, როდესაც ნიადაგის ყველა ნაწილაკი შეკრულია სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ცალკეულ კოშტებად. შეიძლება თუ არა ჩვენი ნიადაგები, საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნიადაგები გადავაქციოთ სტრუქტურულ ნიადაგებად? ამ კითხვაზე ვილიამსი უპასუხებდა: „სოციალისტური მიწათმოქმედების პირობებში არ არსებობს ისეთი მიზეზები, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ ამ ამოცანის გადაჭრას. პირიქით, სოციალისტურ მიწათმოქმედებას მოეპოვება პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ამოცანის სწრაფად გადაჭრას, ხოლო ამ ამოცანას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ჩვენს მეცნიერებას კი გააჩნია იმის მაგალითები, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს“.

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვილიამსის მიერ რეკომენდებულ თესლბრუნვას მრავალწლიან პარკოსან და ძარცლოვან ბალახთა ნარევის გამოყენებით, რაც ახლა მტკიცედ არის დაზერგული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე.

ვილიამსის მოძღვრება ნიადაგის კულტურული დამუშავების წესებზე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია. გამოჩენილი მეცნიერი მთელი ენერგიით შეებრძოლა რეაქციულ მიმართულებას აგრონომიულ მეცნიერებაში და გაანადგურა მავნე „თეორია“ ზერელე ხვნის შესახებ. მან დასაბუთა ნიადაგის ღრმად მოხვნის უდიდესი მნიშვნელობა. ვილიამსის ძიერ შექმნილი თეორია ნიადაგის წინასახნისიანი გუთნით დამუშავებისა ანუ კულტურული ხვნა ჩვენი სოციალისტური ძიწათმოქმედების კულტურის შეძდგომი ამაღლების საფუძველია, მოსავლიანობის განუწყვეტელი ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა.

მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა ვილიამსის მიერ რეკომენდებული ნიადაგის მზრალად დამუშავების სისტემა. ვილიამსის მიხედვით, ნიადაგის მზრალად დამუშავების სისტემა შეიცავს ნაწვერალის ოშვას, რომელიც უნდა წარმოებდეს მოსავლის აღებასთან ერთდროულად. ოშვის შემდეგ კი ხდება ნიადაგის ღრმა მზრალად ხვნა წინასახნისიანი გუთნით. ვილიამსი აღნიშნავს, რომ „ნაწვერალის ოშვა მოსავლის აღებასთან ერთდროულად ხდება. ნაწვერალის ოშვის გადადება არ შეიძლება — ეს სასწრაფო, დაკვრითი სამუშაოა“.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის უპირატესობა არა მარტო ის არის, რომ წარმოადგენს უხვი მოსავლის მოყვანის ბერკეტს, არამედ ისიც, რომ დიდ შესაძლებლობას იძლევა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად და, მაშასადამე, მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები თესლბრუნვის დანერგვას. მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის ორი თესლბრუნვის — მინდვრისა და საკვები თესლბრუნვის შეხამება წარმოადგენს კულტურული მიწათმოქმედების დამახასიათებელ თვისებას.

ვ. რ. ვილიამსს უდიდეს მოვლენად მიაჩნდა მიჩურინული აგრობიოლოგიის განვითარება. ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის დახასიათებისას ის აღნიშნავდა, რომ მიჩურინი გაბედულად მიდიოდა ახალი გზით, რომ მის მუშაობაში ბევრი რამ იყო ახალი, მიჩურინული.

ვილიამსი ყველას აოცებდა თავისი დაუცხრომელი მუშაობით. ჩვენი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მეცნიერ ბოლშევიკს აღაფრთოვანებდა დაუღალავი ძრომისათვის. დიდი სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ვ. რ. ვილიამსი წერდა: „...მე თითქოს არ ვბერდები. იმის შეგნება, რომ ვიმყოფები ლენინის დიადი პარტიის რიგებში, ვმუშაობ პარტიისა და თქვენი ხელმძღვანელობით, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, და რომ ბედნიერება მაქვს უშუალო მონაწილეობა მივიღო პირველი, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, — ეს შეგნება მაახალგაზრდავებს და აღმაფრთოვანებს ჩემს ყოველდღიურ პრაქტიკულ და მეცნიერულ მუშაობაში“.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ვილიამსმა დაწერა შესანიშნავი ნაშრომი „მიწათმოქმედების საფუძვლები“. ეს შრომა მან უძღვნა 1939 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს: „...ცხოვრებაში არ მქონია და არა მაქვს სხვა მიზანი, გარდა ხალხის სამსახურისა. მე ყოველთვის ვცდილობდი აგრონომიული მეცნიერება გამეხადა ხალხის ფართო მასების საკუთრებად, გამეხადა იგი მიწის ნაყოფიერების შემქმნელთა მოქმედ თანამემწედ.

სოციალიზმის გამარჯვებამ წარმოშვა შრომისა და მეცნიერების მტკიცე და ყოვლისმძლე კავშირი. აგრონომიული მეცნიერება ხელში აიღეს სოფლის თავისუფალ მშრომელთა მილიონებმა. ასეთი კავშირის გამო მეცნიერებამ მოიპოვა მძლავრი ძალა და განვითარების ახალი მიმართულება“.

ვ. რ. ვილიამსი გარდაიცვალა 1939 წლის 11 ნოემბერს. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ის უმწიკვლოდ, ერთგულად ემსახურებოდა თავის საყვარელ სამშობლოს, თავის ხალხს. ის იყო იმ მეცნიერების წარმომადგენელი, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, გადასცეს მას მეცნიერების ყველა მონაპოვარი.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად შეაფასეს აკადემიკოს ვილიამსის ღვაწლი. ის დაჯილდოებული იყო სამი საკავშირო ორდენით, არჩეული იყო სამი აკადემიის აკადემიკოსად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. საბჭოთა კავშირის მრავალი სამეცნიერო დაწესებულება მის სახელს ატარებს.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მეცნიერების დიდი მეგობარი და კორიფე ხალხთა ბრძენი ბელადი დიდი სტალინი უდიდეს მზრუნველობას და დახმარებას იჩენენ მიჩურინის მოძღვრების ნიჭიერ მიმდევართა მრავალრიცხოვანი კადრის აღზრდისათვის. მიჩურინისა და ვილიამსის მოძღვრებას შემოქმედებითად ავითარებენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო და მისი მიმდევრები.

მიჩურინ-ვილიამს-ლისენკოს აგრობიოლოგიური მეცნიერება სულ უფრო მეტად ხდება კოლმეურნე გლეხობის, სოფლის ყველა მუშაკის კუთვნილება. სოფლის მეურნეობის ფრონტზე შემდგომი გამარჯვების მოპოვების საწინდარია ის, რომ მიჩურინული მოძღვრების დროშა ახლა მეცნიერების მუშაკებთან ერთად უჭირავთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, რომელნიც ნამდვილ სასწაულს ახდენენ უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

თ. კუნჭულია

გაწვევა საფაბრიკო-საქარხნო ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო სარაჯიშვილი

(გარდაცვალების 25 წელი)

ზმელთაშუა ზღვის სანაპირო საზამთრო კურორტ ნიცას საოპერო თეატრში ბიზეს ოპერა „კარმენში“ დონ-ხოზეს პარტიას ასრულებს საზოგადოებისათვის უცნობი მომღერალი. მილანის, პარმის, ტრიესტის საოპერო თეატრებში ამ უცნობი მომღერლის წარმატების ამბავმა ნიცასაც მიაღწია და ამიტომაც დებიუტანტმა თეატრში აუარებელი ხალხი მიიზიდა. მაყურებელთა შორისაა რუსეთიდან ნიცას ჩამოსული ცნობილი მწერალი ალექსანდრე კუპრინი. თეატრის დიდი მოტრფიალე და მცოდნე, მსახიობთა მეგობარი, ა. კუპრინი მოაჯადოვა უცნობმა მომღერალმა. დაეშვა ფარდა. დარბაზი ტაშის გრიალმა მოიცვა. პარტერიდან წამოიჭრა მწერალი და კულისებისაკენ გაეშურა. ეხვევა, თავდავიწყებით კოცნის დონ-ხოზეს პარტიის შემსრულებელს და ეკითხება:

— მაპატიეთ... ვერ მოვითმინე. ვინ ბრძანდებით. რა ეროვნებისა ხართ?

— ქართველი, ვანო სარაჯიშვილი გახლავართ!

ასე გაეცნენ ერთმანეთს დიდი ერის შვილი, ცნობილი რუსი მწერალი და ნიცაში ჩასული ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

მერე და, მარტო კუპრინი მოხიბლა სიმღერის ჯადოქარმა ვანომ? რაინდული, ახოვანი, შავგვრემანი, ეშხით სავსე სახე, ბროლივით ხასხასა მძივებად ჩამწკრივებული კბილები, შავი დიდრონი ჭკვიანი თვალები, ხუჭუჭა შავი თმა—ყოველივე ეს დანახვისთანავე გხიბლავდა, ხოლო, როცა ის სიმღერას დაიწყებდა, პირველივე ბგერები გატყვევებდნენ.

ვანო სარაჯიშვილი იმ მომღერალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთათვისაც ყველა სცენის კარები ფართოდ არის გაღებული, რომლებიც ყველასათვის სასიამოვნო და სახატრელი სტუმრები არიან. აკი ვანოსაც ევროპის მრავალი თეატრი ეპატიჟებოდა, მაგრამ მას, თავისი ქვეყნის მოსიყვარულეს, სწამდა, რომ ბუნებისაგან უხვად მომადლებული ნიჭი უნდა მოახმაროს იმ ხალხს, რომელმაც შობა და აზარდა. ამიტომაც იტალიაში წელიწადნახევარის ყოფნის შემდეგ, 1908 წელს ის ჩამოდის თბილისში, სადაც ამავე წლის ნოემბერში იწყება მისი გამოსვლები, ესოდენ წარმტაცი და ტრიუმფალური.

ვანო სარაჯიშვილი ხმირი სტუმარი იყო მაშინდელი რუსეთის ცენტრებისა. პეტროგრადის და მოსკოვის თეატრალური საზოგადოება ისევე აღტაცებული იყო სცენის ამ იშვიათი ოსტატით, როგორც გენიალური შალიაპინითა და მომხიბვლელი ლეონიდ სობინოვით. ჩვენი შესანიშნავი მომღერალი მათ უფრო საყვარელი შეიქნა ქართველი ხალხისათვის, რომ ხალხის მიერ საუკუნეობით შექმნილი წარმტაცი ჰანგების და მელოდიების უბადლო შემსრულებელი გახდა. განა შეიძლება დავიწყებას მიეცეს ვანოს შესრულებული „ურმული“, „ოროველა“, „ოდესაც გიცქერ“, „ისევ შენ და ისევ შენ“, „დავრდომილი, სნეული“ და მრავალი სხვა. ამ სიმღერებში დიდი ოსტატი გამოხატავდა ქართველი ხალხის სევდას, სიხარულსა და სასოებას. ამ სიმღერების ყოველ ბგერას, ყოველ ფრაზას დიდი ხელოვანი სრულყოფილად ასრულებდა და წარუშლელ მშობეჭდილებას ახდენდა.

ქართული ორიგინალური ოპერების სცენიური სახეების პირველი ხორცშემსხმელი ხომ ვანო იყო. მის მიერ შესანიშნავად განსახიერებულ პარტიებს—ჩაიკოვსკის—ლენსკი და გერმანი, ბიზეს—დონ-ხოზე, ნადირი, ვერდის—ალფრედი, ჰერცოგი, რადამესი, გუნოს—ფაუსტი, როსინის—გრაფ ალმავივა—მიემატა ქართველ კომპოზიტორთა ქმნილებანი. დაუვიწყარია შოთას სახე არაყიშვილის ოპერაში

„თქმულება შოთა რუსთაველზე“. წარმტაცია ეთერიანის სიუჟეტზე ფალიაშვილის გენიით გაბრწყინებული აბესალომის სახე. ფალიაშვილის ამ უკვდავი ქმნილების უბადლო განმსახიერებელი ვანო სარაჯიშვილი გახდა.

თავდადებით უყვარდა ვანოს თავისი ქვეყანა და უმღერდა მას. ხალხმაც სიყვარულს სიყვარულით უპასუხა და მისი სასცენო მოღვაწეობის 20 წლის იუბილე 1923 წლის 16 მაისს დიდი ზეიმით აღნიშნა ოპერის თეატრში. საბჭოთა მთავრობამ ვანო სარაჯიშვილს მშობლიური კულტურის წინაშე დიდი დამსახურებისათვის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭა.

ვანო სარაჯიშვილის გვიდის სიმღერად შეიქმნა მალხაზის „თავო ჩემო“. 1923 წლის 19 სექტემბერს თბილისის ოპერის თეატრში პირველად იმღერა ვანო სარაჯიშვილმა ოპერა „დაისში“ მალხაზის არია „თავო ჩემო“ და ამ დღიდან ეს არია გადაიქცა ხალხის საყვარელ სიმღერად, ვანოს ხსოვნის სიმღერად.

1924 წლის 11 ნოემბერს ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა. აბესალომის და მალხაზის სულისჩამდგმელი უდროოდ განშორდა ქართველ ხელოვანთა რიგებს. დედაქალაქმა 16 ნოემბერს ოპერის ბაღში მიწას მიაბარა დიდებული სახალხო მომღერალი. დიდი ხელოვანის უდროოდ დაკარგვა მუდამ მწუხარებას იწვევს მადლიერი ხალხის გულში, მაგრამ მწუხარებას ბინდი ეცლება, როცა ხედავ, რომ მის მიერ დამღერებული ჰანგები კვლავ ძლიერად ჟღერს ჩვენში. ქართული საოპერო ხელოვნება, ისევე როგორც ხელოვნების ყველა სხვა დარგი, ახალ-ახალ წარმატებას იღწევს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად.

ა. ბურთიკაშვილი

რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დათვალიერება-კონკურსი

ბათუმი. (საკ. კორ.). ყოველდღიურად იზრდება საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მოძრაობა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთგადამამუშავებელ ქარხანაში. ამ მოძრაობაში მონაწილეობენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები.

რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მოძრაობის მასობრიობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. წელს 9 თვეში შემოტანილია 115 წინადადება, რომელთაგან 67 უკვე დაინერგა წარმოებაში. აღნიშნულ წინადადებათა განხორციელება ქარხანას წინასწარი ანგარიშით 2.300 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.

დათვალიერება-კონკურსი, რომელიც სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის ხაზით ტარდება, მიზნად ისახავს გამოავლინოს წარმოების მოწინავე რაციონალიზატორ-გამომგონებლები.

ქარხანაში უკვე შეუდგნენ ამ მიმართულებით მზადებას. გამომუშავებული და საამქროებისათვის გადაცემულია თემატიკური გეგმები. გეგმაში შეტანილია ნავთგადამუშავების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, ნავთპროდუქტების ტრანსპორტირებისა და შენახვის, ნავთობის საწარმოო დანაკარგების, სათბობი და ენერგეტიკული მეურნეობისა და წარმოების სხვა ვიწრო ადგილების ლიკვიდაციის საკითხები.

დათვალიერება-კონკურსის თემატიკური გეგმების თვითეული მუშისათვის ფართოდ გაცხობის მიზნით წარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა. მოეწყო საამქროების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებები, გაიმართა აგიტკოლექტივის მეცადინეობა, აგიტატორები შეუდგნენ საუბრების ჩატარებას.

ამ ღონისძიებათა შედეგად მოწინავე მუშების და ინჟინერ-ტექნიკოსებისაგან მრავალი რაციონალიზატორული წინადადება შემოდის.

უდავოა, რომ დათვალიერება-კონკურსი დიდად შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

მოუფიქრებლობის შედეგი

ზესტაფონის რკინიგზის მე-16 საშუალო სკოლაში მეცადინეობა ორ ცვლად წარმოებს. მეორე ცვლაში მეცადინეობენ 1-4 კლასის მოსწავლეები. პატარებს მეხუთე გაკვეთილი საღამოს 6 საათსა და 45 წუთზე უთავდებათ. ამ დროს კი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში უკვე ღამეა. ამის გამო მათ ძალიან უძნელდებათ სკოლიდან სახლებში დაბრუნება და მშობლები იძულებული არიან ყოველ საღამოს სკოლაში მივიდნენ თავიანთი ბავშვების წასაყვანად.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასკოლო განყოფილებამ ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს.

ს. მუმლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ვაგონ-გამოფენა რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსთავის საალმშენებლო ტრესტის მოწვევით აქ მოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის ვაგონ-გამოფენა. ერთ ვაგონში გამოფენილია დოკუმენტები ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. მეორე ვაგონში გამოფენილი მასალები ასახავენ ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დიდი სამამულო ომის წლებში, საბჭოთა ხალხის თავდადებულ ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ვაგონ-გამოფენა რუსთავში ინახულა ორიათასამდე კაცმა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

ბავშვთა შორის საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგების შესახებ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგები. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პროფესიულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე წელს თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის. რესპუბლიკაში მოწყობილი იყო 73 პიონერული ბანაკი, რომლებშიც დაისვენა 27.133 ბავშვმა, 6.445 ბავშვით მეტმა, ვიდრე 1948 წელს. პროფკავშირთა რესპუბლიკური და საქართხო-საფაბრიკო კომიტეტების უმრავლესობამ უზრუნველყო პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების მიერ ამ მიმართულებით დაწესებული გეგმების შესრულება. პიონერთა ბანაკებში წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთ იყო დაყენებული ბავშვთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხელოვნების მუშაკთა, სახელმწიფო ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის, კვების მრეწველობის, ელექტროსადგურების, ნავთის მრეწველობის, პოლიტსაგანმანათლებლო, სამედიცინო, სამკერვალო მრეწველობის, საფინანსო მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების პიონერთა ბანაკების კარგი მუშაობა ქვემხეთში, კოჯორში, მახინჯაურში, სურამში, წალკაში, ცემში, დაბაში, ახალდაბაში და წაღვერში.

ამასთან ერთად პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ქვანახშირის მრეწველობის, ხისდამამუშავებელი და საბინაო-კომუნალური მშენებლობის მუშათა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, აგრეთვე ზოგიერთმა სხვა პროფესიულმა ორგანიზაციამ მთლიანად ვერ უზრუნველყვეს ბავშვთა გაგზავნა პიონერთა ბანაკებში გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით.

სავაჭრო ორგანიზაციები — საქვაჭრობა და ცეკავშირი სერიოზული შეფერხებებით ამარაგებდნენ პიონერთა ბანაკებს კარტოფილით, კვერცხით, რძის პროდუქტებითა და ბოსტნეულით.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკურ კომიტეტებს და იმ საქართხო-საფაბრიკო კომიტეტებს, რომელთაც რესპუბლიკური გაერთიანებები არა აქვთ, დროულად დაამთავრონ პიონერთა ბანაკების ბალანსების შედგენა, შეაჯამონ პიონერთა ბანაკების მუშაობის შედეგები და საფინანსო ანგარიშები განიხილონ რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმის სხდომებზე, უზრუნველყონ პიონერთა ბანაკების მატერიალურ ფასეულობათა, ქონებისა და ინვენტარის დაცვა-შენახვა.

რადგან პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები პიონერთა ბანაკების რემონტისა და საბანაკო შენობების იჯარით აღებისათვის რესპუბლიკურ კომიტეტებს და ი. საქართხო-საფაბრიკო კომიტეტებს, რომელთაც რესპუბლიკური გაერთიანებები არა აქვთ, დიდი დაგვიანებით — აპრილსა და მაისში ურიცხავენ საჭირო სახსრებს, რაც აფერხებს პიონერთა ბანაკების გახსნისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დროულად და ხარისხობრივად ჩატარებას, აყოვნებს შუამდგომლობა საკავშირო პროფსაბჭოს წინაშე, რათა მან პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს დაავალოს არა უგვიანეს 1950 წლის პირველი თებერვლისა უზრუნველყონ რესპუბლიკური და საქართხო-საფაბრიკო კომიტეტების დაფინანსება პიონერთა ბანაკების რემონტისა და საბანაკო შენობების იჯარით აღებისათვის.

პროფსაბჭოს კულტსაყოფაცხოვრებო განყოფილებას პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად დაევალა დეკემბრის ბოლოსათვის შეადგინოს გეგმა პიონერთა ბანაკების დისლოკაციისა 1950 წლისათვის და მომავალი წლის 10 იანვრამდე წარმოუდგინოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

პროფკავშირთა მონაწილეობა ლითონის ჯართის შეგროვებაში

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შავი და ფერადი ლითონის ჯართისა და ნარჩენების შეგროვების ერთთვიურის ჩატარების შესახებ. პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებსა და იმ საქართხო-საფაბრიკო კომიტეტებს, რომელთაც რესპუბლიკური გაერთიანება არა აქვთ, დაევალათ ერთთვიურში მონაწილეობისათვის ფართოდ მოიზიდონ მუშა-მოსამსახურეები, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა, საამქროებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის ლითონის ჯართისა და ნარჩენების შეგროვებისა და გაგზავნისათვის. რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ყოველდღიური დახმარება უნდა გაუწიონ ამ საქმეში ძირეულ პროფორგანიზაციებს.

პროფსაბჭოს საწარმოო-მასობრივ განყოფილებას დაევალა სისტემატურად შეამოწმოს ერთთვიურის მიმდინარეობა ადგილებზე და ნოემბრის ბოლოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს განსახილველად წარმოუდგინოს ერთთვიურის ჩატარების შედეგები.

საბჭოთა კავშირი მშვიდობის, პროგრესისა და დემოკრატიის ბურჯია

ყველა ქვეყნის მშრომელებმა აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXII წლისთავი

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების დიდი თარიღი ზეიმითა და სიხარულით იდღესასწაულეს არა მარტო ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის ხალხებმა. იგი იდღესასწაულეს მთელი მსოფლიოს მშრომელებმა. ამ დღეებში არ ყოფილა დედამიწაზე ისეთი კუთხე, სადაც მუშებს, გლეხებს, მშრომელ ინტელიგენციას, მშვიდობისა და პროგრესის მეგობრებს არ აღენიშნოთ მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს—ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის არსებობის 32-ე წლისთავი.

საზეიმოდ არის მორთული ჰიტლერული უღლისაგან საბჭოთა კავშირის მიერ განთავისუფლებული ქვეყნების — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და ალბანეთის ქალაქები და სოფლები. ადამიანთა გული აღსავსეა მადლობით თავისი განმთავისუფლებლისადმი, უსაზღვრო ერთგულებით დიდი სტალინისადმი, მხურვალე სიყვარულითა და მეგობრობით მოძმე საბჭოთა ხალხისადმი — სოციალიზმის გზით მიმავალი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეგობრის, თანაშემწისა და დამცველისადმი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი როლი შეასრულა პოლონელი ხალხის ისტორიასა და ცხოვრებაში, მის მიერ დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მოპოვებაში.

ამ სადღესასწაულო დღეებში პოლონელი ხალხის აზრი და გრძნობა მკაფიოდ გამოხატა თავის მოხსენებაში დიდი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვარშავაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ფრანტიშეკ იუნიაკმა (ვიტოლდმ). მან ილაპარაკა პოლონელი და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაზე, რაც სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის ყველა წარმატების საწინდარია, პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოსადმი საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებაზე, პოლონეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობისათვის ბრძოლაში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიერ შეტანილ ფასდაუდებელ წვლილზე, პოლონეთის აყვავებისათვის პოლონელი ხალხის საუკეთესო მეგობრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დიდ ზრუნვაზე.

დღესასწაულს პოლონეთში, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში, საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჰქონდა.

7 ნოემბერს ვარშავის სხვადასხვა საწარმოდაწესებულების ასზე მეტი დელეგაცია ესტუმრა საბჭოთა საელჩოს. მათ თავიანთი მილოცვები გადასცეს დიდ ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით და მხურვალე მადლობა გადუხადეს საბჭოთა კავშირს ჰიტლერული უღლისაგან პოლონელი ხალხის განთავისუფლებისათვის და იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რასაც საბჭოთა ხალხი პოლონეთს უწევს სოციალიზმის მშენებლობაში.

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში 7 ნოემბერს შედგა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი ათიათასიანი მიტინგი. საკავშირო-სამრეწველო გამოფენის ვეებერთელა დარბაზში ვერ დაიტია მიტინგზე მოსული ყველა მშრომელი.

— ჩვენ საზეიმოდ ვუცხადებთ მთელ მსოფლიოს, ჩვენი ადგილი ყოველთვის საბჭოთა კავშირის გვერდით არის,—განაცხადა მიტინგის გახსნისას ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარემ პროფესორმა ნეედლიმ. მისი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ა. ზაპოტოცკიმ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, რომელმაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით, რომელიც გაათავისუფლა ფაშისტური მონობისაგან გმირმა საბჭოთა არმიამ, ეყრდნობა სსრ კავშირთან ურთიერთობასა და მეგობრობას და მტკიცედ მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით. მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის ხალხებისა და დიდი სტალინისადმი.

6 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის სოფელ დობეჟიკოვის მახლობლად მდებარე გორაკზე გაიმართა ზეიმი ჩეხოსლოვაკიის განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის პატივსაცემად ობელისკის გახსნის გამო. ობელისკზე მიმაგრებულ დაფას ჩეხურად და რუსულად აწერია შემდეგი სიტყვები: „მადლობა სტალინს“.

მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაციები გაიმართა სოფიაში, ბუქარესტში, ბუდაპეშტსა და ტირანაში. ბულგარეთის დედაქალაქის მრავალათასიანი დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ წითელი ტილოები, რომლებსაც წარწერილი ჰქონდა ბულგარეთის მშრომელთა გრძნობებისა და აზრების გამომხატველი სიტყვები: „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს!“, „მხურვალე სალამი და დიდი მადლობა სახელოვან საკავშირო კ. პ. (ბ) და მის ცენტრალურ კომიტეტს ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლისა და ბელადის დიდი სტალინის მეთაურობით“, „ბოლომდე ერთგული ვიყოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა, სახელოვანი უძლეველი საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ)“, „1917 წლის ოქტომბერი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა 1944 წლის 9 სექტემბერი“, „სსრ კავშირისადმი ერთგულება ჩვენი პატრიოტიზმის საზომია“.

სადღესასწაულო დემონსტრაციამ, რომელშიც მონაწილეობდა სოფიის ასიათასობით მშრომელი, ცხადყო, რომ ბულგარელი ხალხი ერთგულია ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობისა, რომ იგი რევოლუციის დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის უკვდავი მოძღვრებით აღფრთოვანებული მტკიცედ აშენებს სოციალიზმს.

მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია შედგა რუმინეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში. დაუსრულებელ ნაკადად მოდიოდნენ დედაქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივები. მათ მოჰქონდათ დროშები, კომუნიზმის დიდი ფუძემდებლებისა და ბელადების მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტები, მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელების, რუმინეთის მთავრობის წევრების, რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელების პორტრეტები. პლაკატებით, ტრანსპარანტებით, დიაგრამებით რუმინეთის დედაქალაქის მშრომელნი უპატაკებდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს რუმინეთის მრეწველობის დიდ საწარმოო წარმატებათა შესახებ, წარმოების მოწინავეების გამარჯვებათა შესახებ.

დემონსტრანტთა წინაშე გამოსულმა რუმინეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომარემ გეორგე აპოსტოლმა განაცხადა: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელნი, რომლებსაც მუშათა პარტია ლენინ-სტალინის დროშით ხელმძღვანელობს, საბჭოთა კავშირთან სამუდამო მეგობრობით დაკავშირებულნი, მტკიცედ მიდიან წინ სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის გზით.

ბუდაპეშტის ასეულ ათასობით მშრომელმა მიიღო მონაწილეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისადმი მიძღვნილ დემონსტრაციაში. დიდი სახალხო დემონსტრაცია გაიმართა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ტირანაშიც. ყველა ეს დემონსტრაცია ჩატარდა დიდ საბჭოთა კავშირთან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით.

დიდი სიხარულით შეხვდა ოქტომბრის 32-ე წლისთავს ჩინელი ხალხი, რომელმაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა იმპერიალისტური და ფეოდალური რეაქციის ძალებზე და შექმნა სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო.

ვხელმძღვანელობთ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეებით,—წერს დიდი წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი,—ჩინელი ხალხი წაიყვანდა რუსი ხალხის გზით. საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მორალური მხარდაჭერისა და დახმარების მეოხებით ჩინელმა ხალხმა ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ მოიშორა იმპერიალიზმის უღელი, მოიპოვა დამოუკიდებლობა და თავისუფლება, შექმნა ჩინეთის დიდი სახალხო რესპუბლიკა და გახდა სოციალისტური და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების დიდი ოჯახის სახელოვანი წევრი.

ოქტომბრის რევოლუციის შუქი მუდამ გაგვნათებს გზას!

ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების დიდი მეგობრობა ამიერიდან გახდება ჩინეთის მშენებლობის წარმატებით დამთავრების გარანტია, აგრეთვე მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის მიღწევის გარანტია“.

წელს ჩინეთში პირველად ასე ფართოდ იდღესასწაულეს ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი. დღესასწაულამდე დიდი ხნით ადრე, ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო ლეკციები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ, მოხსენებანი სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ, საუბრები სოციალიზმის ქვეყანაში კულტურისა და ხელოვნების შესახებ. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ ხალხმრავალი საზეიმო კრებები მოაწყო ჩინეთის ყველა დიდ ცენტრში—პეკინში, შანხაიში, ტიანძინში, სიანსა და სხვა ქალაქებში.

ზეიმით იქნა აღნიშნული ოქტომბრის რევოლუციის 32-ე წლისთავი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ოქტომბრის სახელოვანი წლისთავი იდღესასწაულეს მშვიდობისმოყვარე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა. 7 ნოემბერს ბერლინში შედგა საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ. კრებაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებით გამოსულმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოვლმა საბჭოთა კავშირის ხალხებს, საბჭოთა მთავრობას და გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს მიულოცა მსოფლიო დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი.

— იმპერიალისტები, — თქვა გროტეოვლმა კრების მონაწილეთა ტაშის გრიალში,—ვერ მოახერხებენ ისტორიის უკან მიბრუნებას. ჩვენ მარტონი არა ვართ. ჩვენ შევქმნათ ახალ, დემოკრატიულ გერმანიას. ჩვენ მადლობელნი ვართ იმ ნდობისათვის, რომელიც გამოგვიცხადა ბევრმა ქვეყანამ და უწინარეს ყოვლისა ჩვენ მადლობელნი ვართ საბჭოთა კავშირისა და მისი ბელადის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისა.

ოქტომბრის რევოლუციის იდეების დიადი გამაერთიანებელი ძალის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ფართო მასებში საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი ავტორიტეტის მკაფიო დემონსტრაცია იყო ოქტომბრის დღესასწაული კაპიტალისტურ ქვეყნებში. მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მომხრეები მიესალმებოდნენ მშვიდობის მედროშეს — საბჭოთა კავშირს და კვლავ ადასტურებდნენ თავიანთ მზადყოფნას განაგრძონ ბრძოლა იმპერიალისტური აგრესიის ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

6 ნოემბერს ლონდონში დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართული მიტინგი ოქტომბრის წლისთავის აღსანიშნავი ყველაზე დიდი მიტინგი იყო, რომელიც ოდესმე ჩატარებულა ინგლისში ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. მიტინგზე გამოსულმა სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარემ ჯ. ნ. პრიტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთი „მშვიდობისათვის დიდი მებრძოლია“. იგი მშვიდობისათვის ბრძოლას შეუდგა მისი შექმნიდან 24 საათის შემდეგ და დღემდე იბრძვის მშვიდობისათვის მზარდი წარმატებით.

მიტინგზე გამოსულმა გაზეთ „დეილი უორკერის“ რედაქტორმა კემპბელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი გზას უჩვენებს მსოფლიოს ყველა მუშას.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისალმება საბჭოთა ხალხისადმი. „თქვენი წარმატებანი იმედს უნერგავენ კაცობრიობას, რომელიც ცხოვრობს კრიზისით მოცულ სამყაროში“, —ნათქვამია მისალმებაში.

ზეიმით აღნიშნეს ოქტომბრის 32-ე წლისთავი ინგლისის დიდი სამრეწველო ცენტრის მანჩესტერის მშრომელებმა. დარბაზი, რომელშიც მიმდინარეობდა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების მიერ მოწყობილი საზეიმო კრება, სავსე იყო. კრებაზე გამოსულმა პარლამენტის წევრმა, დამოუკიდებელმა ლეიბორისტმა ლესტერ ჰატჩისონმა თქვა: „ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ გვჯერა საბჭოთა კავშირისა და მისი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკისა“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი ენთუზიაზმით აღნიშნეს საფრანგეთის მშრომელებმა. 6 ნოემბერს ხალხით სავსე პარიზის დარბაზ პლეიელში შედგა ასოციაცია — „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ მიერ მოწყობილი საზეიმო კრება. დამსწრეთა ხანგრძლივ ტაშს გრიალში გენერალი პეტი საბჭოთა კავშირის მეგობართა სახელით მიესალმა საფრანგეთის დიდ მოკავშირეს—სსრ კავშირს და მის ბელადს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ჰოეტმა ჰოლელუარმა ხაზგასმით აღნიშნა ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და ის უდიდესი იმედი, რომელიც მან ყველა ხალხს გაუღვიძა. შემდეგ უდიდესი ენთუზიაზმით მიიღეს მისალმება მსოფლიო მუშათა მოძრაობის ბელადის ი. ბ. სტალინისადმი.

დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები და კრებები გაიმართა აგრეთვე საფრანგეთის სხვა ქალაქებში. ქალაქ ტარბში (ზემო პირინეის დეპარტამენტი) მიტინგზე, რომელშიც მონაწილეობდა 15 ათასი კაცი, ვრცელი სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი.

იტალიაში კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ინიციატივით ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო მანიფესტაციები. ამ მანიფესტაციებს, აღნიშნავს გაზეთი „ავანტი“, გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა როგორც თავისი მასშტაბით და მონაწილეთა რაოდენობით, ისე იმ ენთუზიაზმითა და აღფრთოვანებით, როგორიც აღინიშნა დი

უცხოეთის გამოხმაურება გ. მ. მალენკოვის მოხსენებაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის შესახებ

ჩინეთი

პეკინი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ჩინეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს გ. მ. მალენკოვის მოხსენების შინაარსი.

დღეს გაზეთები „გუანმინჟიბაო“ და „ჟენმინჟიბაო“ აქვეყნებენ გ. მ. მალენკოვის მოხსენების სრულ ტექსტს.

პოლონეთი

ვარშავა, 9 ნოემბერი. (საკდესი). პოლონური გაზეთები განაგრძობენ 1949 წლის 6 ნოემბერს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე გ. მ. მალენკოვის მოხსენების კომენტირებას.

გაზეთი „პოლსკა ზბრაინა“ მოწინავე სტატიაში წერს, რომ მშვიდობა და ერთხელ კიდევ მშვიდობა—აი გ. მ. მალენკოვის გამოსვლის აზრი. ეს არის ერთადერთი და ერთადერთი შესაძლებელი აზრი,—წერს გაზეთი,—ვინაიდან მშვიდობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკის საფუძველია, ვინაიდან მშვიდობა მისი მისწრაფებისა და ღონისძიებათა არსია, ვინაიდან ხალხთა შორის მშვიდობა მისი მიზანია. ამ ფაქტს, რისი დამამტკიცებელი საბჭოთა საბჭოთა კავშირის არსებობის 32 წელი და რასაც მოწმობს საბჭოთა კავშირის თვითეული ნაბიჯი, ვერ გააბათილებს ომის გამჩაღებელთა ვერაგთათარი ხრიკი.

ჩვენ არა გვსურს ომი,—თქვა გ. მ. მალენკოვმა, — და ყოველივე შესაძლებელს გავაკეთებთ, რათა თავიდან ავიცილოთ იგი.

საბჭოთა კავშირი იბრძვის მშვიდობისათვის. მაგრამ ეს მშვიდობის პასიური დაცვა როდია, არამედ დაუღალავი აქტიური ბრძოლაა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ამას მოწმობს მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა მთელ მსოფლიოში, რაც დღითიდღე ძლიერდება.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 9 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „რუდე პრავო“ აქვეყნებს მოწინავე სტატიას, რომელიც მიძღვნილია მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე გ. მ. მალენკოვის მოხსენებისადმი. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გ. მ. მალენკოვის სიტყვებით მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ძლიერებისა და უძლეველობის შესახებ გამოხატულია ნება მშვიდობისა არამარტო საბჭოთა ხალხის, არამედ გამარჯვებული ჩინელი ხალხისაც, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებისაც, რომლებიც მიდიან სოციალიზმის გზით, ნება იუგოსლავი მებრძოლებისა, რომლებიც იბრძვიან ტიტოს ფაშიზმის წინააღმდეგ, იტალიის, საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ნება.

ამერიკელი იმპერიალისტები,—წერს გაზეთი, ოცნებობენ მსოფლიო ბატონობის დამყარებაზე, მაგრამ ცხოვრება ზედიზედ აბათილებს მათს დანაშაულებრივ გეგმებს.

მსოფლიოში ახლა არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და დემოკრატიის გამარჯვებას.

ბულგარეთი

სოფია, 9 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის გაზეთებმა გუშინ გამოაქვეყნეს ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენების სრული ტექსტი, დღეს კომენტარს უკეთებენ ამ მოხსენებას.

გაზეთი „იზგრევი“ მოწინავე სტატიაში სათაურით „ხვალინდელი დღისადმი რწმენა“, წერს:

„გ. მ. მალენკოვის მოხსენება ოქტომბრის 32-ე წლისთავის შესახებ წარმოადგენს სსრ კავშირის მიღწევების, საერთაშორისო მდგომარეობისა და ორი ბანაკის—სოციალიზმისა და მშვიდობის ბანაკისა და იმპერიალიზმისა და ომრესის ბანაკის ძალთა თანაფარდობის ბრწყინვალე მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს. გ. მ. მალენკოვმა ცხადყო ბრწყინვალე პერსპექტივა, რომელიც ხალხთა წინაშე ისახება მათი პროგრესული განვითარების გზაზე, და დასაბუთებულად და დამაჯერებლად აღნიშნა, რომ სოციალიზმის გამარჯვება გარდუვალია.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკამ მას მოუხვეჭა პატივისცემა მთელი მსოფლიოს ასობით მილიონი ადამიანისა, რომლებიც ემხრობიან მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მოძრაობას. ამ მილიონობით ადამიანს უნარი შესწევს ალაგმოს აგრესორები“.

რუმინეთი

გუქარესტი, 9 ნოემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა სრული ტექსტი გ. მ. მალენკოვის მოხსენებისა მოსკოვის საბჭოს 1949 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. გაზეთი „სკინტეია“, მოყავს რა გ. მ. მალენკოვის მოხსენებიდან ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებას, ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ძირითად განსხვავებას იმ ცხოვრებისაგან, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებშია, სადაც მძვინვარებს გაჭირვება და შიმშილი, სადაც მკვეთრად ეცემა მშრომელთა საარსებო დონე და რეალური ხელფასი, სადაც ათეულ მილიონობით ითვლება უმუშევარი და ნახევრადუმუშევარი, სადაც მილიონობით მშრომელნი ხვალინდელი დღისათვის მუდმივ შეშფოთებაში ცხოვრობენ.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მალენკოვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია, რომ საბჭოთა ადამიანებს არ ეშინიათ კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრებისა, რომ ისინი სრულიად დარწმუნებული არიან თავის უძლეველ ძალაში და რომ სამხედრო ავანტიურები შეიძლება იმპერიალისტებისათვის მხოლოდ კატასტროფით დამთავრდეს.

გაზეთი „ვიაცა სინდიკალა“ წერს: „ჩვენ ვერ გვძლევს ვერც ერთი მტერი, თუ ვიხელმძღვანელებთ საბჭოთა კავშირის სახელოვანი მაგალითით, განვამტკიცებთ და გავაძლიერებთ სამარადისო მეგობრობას სოციალიზმის ქვეყანასთან და თუ ლენინ-სტალინის პარტიის მოძღვრების ერთგული ვიქნებით“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 9 ნოემბერი. (საკდესი). ყველა დღევანდელი გაზეთი მოწინავე და სარედაქციო სტატიებში კომენტარს უკეთებს გ. მ. მალენკოვის მოხსენებას მოსკოვის საბჭოს 1949 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

გ. მ. მალენკოვის მოხსენებას,—წერს გაზეთი „ნეფსავა“,—ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ იგი აზოგადებს მშვიდობის დაცვისათვის ჩვენი ბრძოლის შედეგს, ცხადყოფს დემოკრატიის ძალების ზრდას და ასეულ მილიონობით ადამიანს უნერგავს საკუთარი ძალებისადმი რწმენის შეგნებას. ამ მოხსენებას ისმენდნენ არამარტო მოსკოვში, არამედ მას დაძაბული ყურადღებით ისმენდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ყველა მომხრე. როცა ამხანაგი მალენკოვი თავის მოხსენებაში ჩამოთვლიდა იმ ფაქტორებს, რომლებზე დაყრდნობით შეგვიძლია რწმენით ვთქვათ, რომ ხალხთა ძალას უნარი შესწევს ალაგმოს აგრესორები, ძალუძს დაიცვას მშვიდობა, ასეულ მილიონობით ადამიანმა თავისი ძალის შეგნებით უფრო მაღლა ასწია თავი. ამხანაგ მალენკოვის მოხსენება გახდა მშვიდობისათვის ბრძოლის ორგანული ნაწილი, იმ ძალების დათვალიერება, რომლებიც მსოფლიოს ანტიიმპერიალისტური ბანაკის რიგებში მიდიან დიდი სოციალისტური საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის დროშით.

ეს მოხსენება,—წერს დასასრულ გაზეთი,—წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და უპირატესობის ისეთ გამოხატულებას, რომ იგი ხდება ამ ასობით მილიონი ადამიანის საბრძოლო პროგრამა, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, ასეული მილიონობით ადამიანისა, რომლებიც ახლა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის შემდეგ, უფრო მეტი აღფრთოვანებით, უფრო მეტი რწმენით განაგრძობენ ბრძოლას მტკიცე მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ აქვეყნებს გ. მ. მალენკოვის მოხსენების ტექსტს. გაზეთი სარედაქციო სტატიაში სათაურით „მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის“ კომენტარს უკეთებს გ. მ. მალენკოვის მოხსენებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას საბჭოთა კავშირის წინადადება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეერთებულ შტატებსა და სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების შესახებ. „საბჭოთა კავშირი ცხადყოფს,—წერს გაზეთი,—რომ იგი ესწრაფვის მშვიდობას არა იმიტომ, რომ სუსტია, არამედ იმიტომ, რომ ძლიერია“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გ. მ. მალენკოვმა ამხელა ომის გამჩაღებლები და განაცხადა: სოციალიზმი მზად არის კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის, რათა ცხადყოს, თუ რომელი სისტემა მეტ უპირატესობას ანიჭებს ხალხს... მალენკოვის სიტყვა,—აღნიშნავს გაზეთი,—გააცოფებს ომის გამჩაღებლებს. მაგრამ იგი წაახალისებს ყოველ პატიოსან ადამიანს დაიცვას მშვიდობა ჩვენს ქვეყანასა და სსრ კავშირს შორის.

იტალია

რომი, 9 ნოემბერი. (საკდესი). იტალიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს გ. მ. მალენკოვის მოხსენებას მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო.

გაზეთი „უნიტა“ დიდრონი სათაურებით მთელ გვერდზე ბეჭდავს მოხსენების სრულ ტექსტს. გაზეთი წერს: „დიდი ოქტომბრის რევოლუცია ცოცხლობს და იმარჯვებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ადასტურებს, რომ მშვიდობა საბჭოთა პოლიტიკის მთავარი მიზანია, და აფრთხილებს იმპერიალისტებს, რომ ხალხთა ძალების ფრონტს ძალუძს დაამარცხოს ყოველგვარი აგრესორები. ატომის ენერგია საბჭოთა ხალხის ხელში მშვიდობისა და ტექნიკური პროგრესის მძლავრი იარაღია“.

ცნობები გ. მ. მალენკოვის მოხსენების შესახებ თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს გაზეთებმა „ავანტიმ“ და „პაეზმ“.

რეაქციული ბანაკის გაზეთები იძულებული არიან ძალაუნებურად, ბუტბუტით აღიარონ, რომ ამხ. მალენკოვის მოხსენებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში.

ვატიკანის გაზეთი „კუოტიდიანო“ მოწინავე სტატიაში აღიარებს: „ჩვენ უარს ვერ ვიტყვით იმაზე, რომ მხედველობაში მივიღოთ საბჭოთა ხელმძღვანელების მშვიდობიანი განზრახვანი“. „ულტრარეაქციული გაზეთი „ტემპოდ“ კი იძულებულია აღიაროს, რომ ამხ. მალენკოვის მოხსენებაში „გაისმა იმედისა და მშვიდობის სიტყვები“.

„მალენკოვის სიტყვა განხილულ უნდა იქნას, როგორც კეთილი ნების გამოვლინება“,—წერს გაზეთი „სტამპა“ და აღნიშნავს, რომ ამ სიტყვის სამი მომენტი მოწმობს, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას, „რომელსაც არამარტო სურს ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი, არამედ კიდეც ესაჭიროება იგი“. ეს მომენტები გაზეთის აზრით, შემდეგია: ჯერ ერთი, მალენკოვის სიტყვები საბჭოთა კავშირის არსებული საზღვრების სამართლიანი, მისაღები ხასიათის შესახებ; მეორე, მისი სიტყვები, რომ მძლავრი სამრეწველო განვითარებისათვის საჭიროა ათეული წლების მშვიდობა; მესამე, განცხადება, რომ ატომის ენერგია შეიძლება და კიდეც უნდა იყოს არა ნგრევისა და სიკვდილის, არამედ ტექნიკური პროგრესის საშუალება.

გაზეთები, „კორიერა დელა სერა“ და „გაზეტა დელ პოპოლო“ თავის ცნობებში ხაზგასმით აღნიშნავენ ამხ. მალენკოვის აზრს, რომ თუ იმპერიალისტები დაიწყებენ მესამე მსოფლიო ომს, იგი „კაპიტალიზმის სამარე“ იქნება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 6 ნოემბერი. (საკდესი). თავის 4 ნოემბრის სხდომაზე პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა ეგრეთ წოდებული საბერძნეთის საკითხის განხილვა.

რეზოლუციების პროექტებისათვის კენჭისყრის დაწყების წინ სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ საბერძნეთის საკითხზე საერთო დისკუსიის მსვლელობაში სსრ კავშირის დელეგაციამ უკვე ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია როგორც ოთხთა რეზოლუციის მიმართ, ისე იმ წინადადებათა დასასაბუთებლად, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა როგორც რეზოლუციის პროექტი, რომელსაც კომიტეტი განიხილავს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც უდავო ფაქტებით დადასტურდა, ბალკანეთის საკითხის სპეციალური კომიტეტი არსებითად საბერძნეთის პოლიციის ტყვეობაში აღმოჩნდა, როცა ყველა თავისი დასკვნა და რეკომენდაციები ააგო გაყალბებული და დაუსაბუთებელი მონაცემების საფუძველზე, რაც მას შეაჩერა საბერძნეთის პოლიციამ, რომელსაც გარედან ხელმძღვანელობენ და განაგებენ. კომიტეტის მოხსენება სავსეა ეგრეთ წოდებული მოწმეთა ჩვენებებით, რაც მიღებულია მოწმეებისაგან, რომლებიც წინასწარ მოამზადა პოლიციამ

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ოთხთა რეზოლუცია საფუძველი ვერ იქნება ვერც საბერძნეთის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის მოსაგვარებლად, ვერც საბერძნეთის შიგნით მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. იგი ცალმხრივი და ტენდენციერია. ეს რეზოლუცია ცდილობს სინამდვილეს ჩამოაშოროს როგორც პოლიტიკური კომიტეტის, ისე გენერალური ასამბლეის ყურადღება. ამავე დროს საბერძნეთის პრობლემა, თქვა ი. ა. მალიკმა, წარმოშობილია საბერძნეთის საშინაო მდგომარეობის ნორმალიზაციის საჭიროებით. სწორედ საბერძნეთის საშინაო მდგომარეობა გარდუვალად იწვევს საგარეო-პოლიტიკურ გართულებას. ამ ორი საკითხის სწორედ მჭიდრო კავშირი ჰქონდა მხედველობაში საბჭოთა კავშირის დელეგაციას, როცა მას შეჰქონდა თავისი წინადადებანი და რეზოლუციის თავისი პროექტი.

ყველა ამ გარემოების გამო, თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, სსრ კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს ოთხთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც საფუძველი ვერ იქნება საბერძნეთის საშინაო მდგომარეობის ნორმალიზაციისა და სათანადო ქვეყნებთან საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

სსრ კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს მის მიერ შეტანილ წინადადებას, ვინაიდან მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მხოლოდ ის წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს რეზოლუციის საბჭოთა პროექტი, და იმ პროექტის მიღება, რომელიც წარდგენილია შემათანხმებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა შესწორებანად საზღვრების მოწესრიგებისა და საბერძნეთისა და ალბანეთს შორის საზღვრის საბოლოოდ აღიარების შესახებ, შეიძლება გახდეს საბერძნეთის პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი.

ინგლის-ამერიკის რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მთელ რიგ ცილისმწამებლურ მტკიცებებს, მიმართულს ალბანეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის წინააღმდეგ, და რომელშიც ერთი სიტყვაც არ არის იმის შესახებ, რომ საბერძნეთში ამჟამად არსებული მდგომარეობა ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის მხრივ პირდაპირი ინტერვენციისა და ბერძენი ხალხის საშინაო საქმეებში მათი უხეში ჩარევის შედეგია, მიღებულ იქნა 38 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ, ორმა თავი შეიკავა. სსრ კავშირის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს რეზოლუციის ამ პროექტის წინააღმდეგ.

შემდეგ კენჭი უყარეს საბჭოთა რეზოლუციას. სსრ კავშირის დელეგაციის მოთხოვნით რეზოლუციის კენჭი უყარეს ცალცალკე პარაგრაფების მიხედვით სახელობითი წესით.

კომიტეტის ინგლის-ამერიკის უმრავლესობამ უარყო რეზოლუციის წინადადებანი საბერძნეთში სომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების შესახებ, პარლამენტის თავისუფალი საყოველთაო არჩევნების ჩატარების შესახებ იმ პირობით, რომ ამ არჩევნების ჩამტარებელ უმაღლეს ორგანოში შეყვანილ იქნან წარმომადგენლები საბერძნეთის დემოკრატიული წრეებისა, რომლებიც სათავეში უდგანან საბერძნეთის სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

უარყოფილ იქნა აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ შექმნილიყო ერთობლივი კომისია სსრ კავშირის მონაწილეობით, რომელიც კონტროლს გაუწევდა საბერძნეთისა და ჩრდილოეთით მდებარე მისი მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებს, წინადადება უცხო სახელმწიფოების მიერ საბერძნეთის მთავრობისათვის ადამიანებითა და მასალებით სამხედრო დახმარების გაწევის შეწყვეტისა და საბერძნეთიდან უცხოეთის ჯარების გამოყვანის ვადების დაწესების შესახებ.

საბერძნეთის საკითხის უსწრაფესად მოწესრიგებისაკენ მიმართულ ამ წინადადებათა წინააღმდეგ ხმა მისცეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ნორვეგიამ, კანადამ, საფრანგეთმა, შვეიცამ, თურქეთმა, ავსტრალიამ, ბელგიამ და სხვა ქვეყნებმა. საბჭოთა წინადადებების ცალკეული პუნქტებისათვის კენჭისყრაში თუს იკავებდა 12-15 დელეგაცია, რომლებსაც არ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ საბერძნეთის საკითხის გადაწყვეტის ინგლის-ამერიკის საბოტაჟში. ბევრმა დელეგაციამ ვერ გაბედა აშკარად გამოსულიყო საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ და მონაწილეობა არ მიეღო კენჭისყრაში. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურის წესები ითვალისწინებენ, რომ საჭიროა კენჭი ეყაროს თვითეულ რეზოლუციას მთლიანად, თუნდაც იგი ცალკე პაოაგრაფების მიხედვით კენჭისყრის შედეგად მიღებული არ ყოფილიყო, სხდომის თავმჯდომარემ უარი თქვა კენჭი ეყარა სსრ კავშირის რეზოლუციისთვის მთლიანად. სსრ კავშირისა და უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა საპროცედურო დისკუსიის მსვლელობაში დაამტკიცეს, რომ ეს უარი პროცედურის წესების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მაგრამ კომიტეტის ინგლის-ამერიკის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილებას.

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ კენჭისყრის მოტივების გამო სიტყვები წარმოთქვეს უკრაინის სსრ წარმომადგენელმა დ. ზ. მანუილსკიმ და საბჭოთა წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ოთხთა რეზოლუცია, რომელიც კომიტეტის უმრავლესობამ მიიღო, მიზნად ისახავს მდგომარეობის შემდგომ გამწვავებას საბერძნეთში.

პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობის მიერ ფორმალურად მიღებული ინგლის-ამერიკის რეზოლუციით კმაყოფილნი არ დარჩენილან ის დელეგატებიც კი, რომლებმაც მორჩილად მისცეს ხმა ამ რეზოლუციას. მექსიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მთელმა რიგმა დელეგატებმა კომიტეტში მხარი დაუჭირეს შემათანხმებელი კომისიის მუშაობის განგრძობას. მან განაცხადა, რომ ბევრ დელეგატს, რომლებმაც ხმა მისცეს ინგლის-ამერიკის რეზოლუციას, იმავე დროს იმედი ჰქონდა, რომ კარი დახშული არ იქნებოდა შერიგების ღონისძიებებისათვის, რასაც ახლანდელი სესიის დასაწყისში მიმართეს. ამასთან დაკავშირებით მექსიკის დელეგატმა წინადადება შეიტანა, რომ თავმჯდომარეს განემარტა, ინგლის-ამერიკის რეზოლუციის მიღება უარყოფს შემათანხმებელი კომისიის „ყველა შესაძლო მოქმედებას“ თუ კომისია განაგრძობს მუშაობას. მექსიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბევრი დელეგაცია, მათ შორის მისი დელეგაციაც, მზარს უჭერს შემათანხმებელი კომისიის მუშაობის განგრძობას.

ავსტრალიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი დელეგაციაც უერთდება მექსიკის წარმომადგენლის თვალსაზრისს.

სხდომის თავმჯდომარემ პირსონმა განაცხადა, რომ შემათანხმებელი კომისია განაგრძობს არსებობას და რომ იგი მის თავმჯდომარესთან ერთად განიხილავს საკითხს კომისიის საქმიანობის განახლების შესახებ „მომხდარი დისკუსიის თვალსაზრისით“.

ნიუ-იორკი, 6 ნოემბერი. (საკდესი). 4 ნოემბერს სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვა.

ამ საკითხზე კომიტეტში გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ შეერთებული შტატების, ინგლისისა და მათი მორჩილი ქვეყნების წარმომადგენლები არ აპირებენ უარი თქვან დისკრიმინაციის იმ პოლიტიკაზე, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ხორციელდება ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციის პოლიტიკა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეებისათვის სასურველი სხვა ქვეყნების მიმართ ფაშორტიზმის პოლიტიკა ხელს უშლის ამ საკითხის გადაწყვეტის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ცამეტივე საბჭოთა მიღებას.

კომიტეტს განსახილველად წარედგინა რეზოლუციის ოთხი პროექტი.

სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი უშიშროების საბჭოს ურჩევდა გადაესინჯა განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, ტრანსიორდანიის, ავსტრიის, ცეილონისა და ნეპალის მიღების შესახებ.

ავსტრალიის წარმომადგენელმა დისკრიმინაციის იმ პოლიტიკის თანახმად, რომელსაც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ ინგლის-ამერიკის წარმომადგენლები ახორციელებენ, შეიტანა რეზოლუციის ცხრა პროექტი, რომლებიც უშიშროების საბჭოს ურჩევენ განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ ყველა სახელმწიფოს განცხადება, გარდა ალბანეთისა, ბულგარეთისა, უნგრეთისა, რუმინეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა. უშიშროების საბჭოსათვის გვერდის ავლის მიზნით არგენტინის წარმომადგენელმა წესდების სავსებით ნათელ დებულებათა წინააღმდეგ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც რჩევას იძლევა მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით თავისი საკონსულტაციო დასკვნა მისცეს იმ საკითხზე, შეუძლია თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღება გენერალურ ასამბლეას, თუ ამის შესახებ უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია არ იქნება.

ერაყის დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც აგრეთვე მიმართულია უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობის წესების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება უარყოფილ იქნა 30 ხმით. ამ წინადადების ხმა მისცა ცხრა დელეგაციამ, თექვსმეტმა დელეგაციამ თავი შეიკავა.

კომიტეტის უმრავლესობამ მიიღო ავსტრალიის წარმომადგენლის მიერ შეტანილი ცხრა რეზოლუცია და არგენტინის წინადადება კონსულტაციისათვის საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვის შესახებ.

ერაყის რეზოლუციის პროექტი ზოგიერთი ცვლილებით მიღებულ იქნა 34 ხმის უმეტესობით 10 ხმის წინააღმდეგ, ცხრამ თავი შეიკავა.

სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში

9 ნოემბერს ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობის მე-14 ტურში გალერმა მოუგო რაგოზინს, ბრონშტეინმა—ხოლმოვს, ლუბლინსკიმ—ფლორს, ლილიენტალმა—კობილოვს.

კოტოვ—სმისლოვის, ტაიმანოვ—კერესის, ბოლესლავსკი—მიკენასის, გოლდბერგ-ლევენფიშის, ფურმან—პეტროსიანისა და სოკოლსკი—არონინის პარტიები გადაიდო.

თორმეტი ტურის შემდეგ საუკეთესო შედეგი აქვთ: კოტოვს— 9 ქულა ცამეტ შესაძლებელში, ბრონშტეინსა და გალერს—9 ქულა თოთხმეტში, კერესსა და სმისლოვს 8,5 ქულა ცამეტში, ბოლესლავსკის 8 ქულა ცამეტში, ფლორს 8 ქულა თოთხმეტში, ტაიმანოვს 7,5 ქულა ცამეტში, ხოლმოვს 7,5 ქულა თოთხმეტში და ფურმანს 7 ქულა ცამეტში.

(საკდესი).

ვ. სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო

დღეს, 11 ნოემბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გაიმართება ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სანდრო ინანიშვილი.

საღამოს საკონცერტო განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება ადგილები ოპერებიდან, სადაც განსაკუთრებული წარმატებით გამოიდოდა დიდი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

ნაჩვენები იქნება:

ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ (პირველი მოქმედება), მსახიობების: თ. ლაფიაშვილის, ე. ხიჯაკაძის, მ. ყვარელაშვილის (დამსახურებული არტისტი), ვ. ხამაშურიძის (დამსახურებული არტისტი), ზ. სვანიძის (დამსახურებული არტისტი), მ. ოცეკვაეფების: ა. წერეთლის, ს. ნონიაშვილის, გ. ბარხუდარიანის (დამსახურებული არტისტი), რ. მაჩაიძის მონაწილეობით;

ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (მესამე მოქმედება), მონაწილეობენ: ე. სოხაძე (სტალინური-პრემიის ლაურეატი, სახალხო არტისტი), დ. ანდღულაძე (სტალინური პრემიის ლაურეატი, სახალხო არტისტი), ს. ინანიშვილი (სახალხო არტისტი) და მსახიობები ი. ფალიაშვილი, რ. გელოვანი, შ. მამაცაშვილი.

დირიჟორია სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი;

ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენის“ მეოთხე მოქმედება, სადაც როლებს შეასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნ. ცომაია, ს. ინანიშვილი, დამსახურებული არტისტი ნ. ბელაქნელი, მსახიობები ნ. ფარცხალავა, ა. სტეფანიანი.

დირიჟორია დ. მარცხულავა.

თეატრის ფოიეში მოწყობილია ვანო სარაჯიშვილის ცხოვრებისა და სასცენო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

„ბამარჯვებულთა ღიმილი“

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში

დღეს, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ნაჩვენები იქნება თბილისის ლენინის ორდენსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის პრემიერა—თ. დონეაშვილის პიესა „გამარჯვებულთა ღიმილი“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს აკ. დვალიშვილს, მხატვრული გაფორმება—ფ. ლაპაიშვილს.

როლებს შეასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. დავითაშვილი, მსახიობები ეკ. ვაჩნაძე, თ. თარხნიშვილი, ერ. მანჯგალაძე, მ. გეგეჭკორი, გ. გეგეჭკორი, გ. კიკნაძე, ლ. ღამბაშიძე, ნ. ჩხეიძე, ნ. მგალობლიშვილი, კ. მახარაძე და სხვები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

დარბაზობა საბჭოთა საელჩოებსა და მისიებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო

ამა წლის 7 და 8 ნოემბერს ვარშავის, პრაღის, სოფიის, ბუქარესტის, ბუდაპეშტის, ტირანის, პეკინის, ულან-ბატორის, ფხენიანის, ბერლინის, ვაშინგტონის, ლონდონის, პარიზის, რომის, ბრიუსელის, ჰაგის, სტოკჰოლმის, ოსლოს, კოპენჰაგენის, კაიროს, ბეიროუთის, ტელ-ავივის, ბერნის, დელის, ანკარის, ვენის, დამასკოს და კანბერის საბჭოთა საელჩოებსა და მისიებში დარბაზობა გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობას დაესწრნენ მთავრობის მეთაურები, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დარბაზობას ვაშინგტონში დაესწრო 1.400 სტუმარი, ლონდონში—1.000-მდე, რომში—900. (საკდესი).

პარიზში გაიხსნა დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

პარიზი, 9 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, დღეს დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

„სოიუზპეჩატი“

დაიწყო ხელისმოწერის მიღება 1950 წლისათვის რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და სარაიონო ჟურნალ-გაზეთებზე

ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში და აგრეთვე კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებებში და საგენტოებში

„სოიუზპეჩატი“ საქართველოს განყოფილება.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგ